საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

N 07-02/94748
08/09/2015

94748-07-02-2-201509081030

ფრიად სასწრაფო

საქართველოს საგარეო საქმეთა
მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ხათუნა თოთლაძეს

ქალბატონო ხათუნა,

გიგზავნით დეპონირებისა და ძალაში შესვლისათვის საჭირო პროცედურების განსახორციელებლად 2015 წლის 3 სექტემბერს ხელმოწერილ 2012 წლის 24 ივლისს საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის გაფორმებულ სასესხო ხელშეკრულებების (მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 2) ცვლილების ორიგინალს ინგლისურ ენაზე ოფიციალურად დამოწმებულ ქართულ თარგმანთან ერთად.

სასესხო ხელშეკრულებების ცვლილება საქართველოს მხრიდან ხელმოწერილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურის მიერ, ხოლი აზიის განვითარების ბანკის მხრიდან აზიის განვითარების ბანკის ცენტრალური და დასავლეთ აზიის დეპარტამენტის გენერალური დირექტორის შონ ოსალივანის მიერ.

ამასთან, სასესხო ხელშეკრულებების ცვლილების საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისთვის წარმდგენნი და მომხსენებლები იქნებიან საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეები ბატონი გიორგი კაკაურიძე და ბატონი ლაშა ხუციშვილი.

დანართი:

1. 2012 წლის 24 ივლისს საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის ხელმოწერილი სასესხო ხელშეკრულებების (მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 2) ცვლილების ორიგინალი ინგლისურ ენაზე მის ოფიციალურად დამოწმებულ ქართულ თარგმანთან ერთად;
2. საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის 2012 წლის 24 ივლისს ხელმოწერილი „მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 2" (ჩვეულებრივი ოპერაციები) და საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის ხელმოწერილი „მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 2" (განსაკუთრებული ოპერაციები) სასესხო ხელშეკრულებები ინგლისურ ენაზე მათი ოფიციალური ქართული თარგმანით;
3. საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის 2013 წლის 17 სექტემბერს ხელმოწერილი დაფინანსების ჩარჩო ხელშეკრულების და სასესხო ხელშეკრულებების ცვლილებები ინგლისურ ენაზე მათი ოფიციალური ქართული თარგმანით;
4. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 2 სექტემბრის საქართველოს მთავრობის №1832 განკარგულების ასლი;
5. საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2015 წლის 2 სექტემბრის №363 ბრძანების ასლი;
6. შესაბამისი უწყებების წერილების ასლები;
7. შეთანხმების ფურცელი;
8. განმარტებითი ბარათი.

პატივისცემით,

დავით ლეჟავა

მინისტრის მოადგილე

ქ.თბილისი, 0114, ვ. გორგასლის ქ. №16, ტელ.:2261412, ფაქსი: 2262409 ელ-ფოსტა: info@mof.ge
16 Gorgasali Street, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: 2261412, Fax:2262409. E-mail: info@mof.ge